ხალხის მოამაგე

ეტად საინტერესოა სულხან-საბა ორბელიანის ბიოგრაფიის ორი მომენტი. როგორც ცნობილია, ეს ღრმად განათლებული, სიცოცხლის მოტრფიალე და მისი მებაირახტრე, ადამიანი, თავისი ცხოვრების მეორმოცი წელს მოულოდნელად ბერად მიდის მონასტერში, რამდენიმე წლის შემდეგ კი მამაპაპეული მართლმადიდებლობიდან კათოლიკობაში გადადის. რა მოხდა მის რელიგიურ ცხოვრებაში ისეთი, რამაც ასეთი ნაბიჯი გადაადგმევინა მას?

იმ დროს ჩვენი ქვეყანა დიდ კრიზისს განიცდიდა. ირანისა და ოსმალეთის მუხრუჭებში მოქცეული, ის ჰკარგავს პოლიტიკურ დამოუკიდებლობას. ისეთი ადამიანი, როგორიც იყო სულხან ორბელიანი, ამ გარემოებას ვერ შეურიგდებოდა. ის თავგამოდებით იბრძვის მისი გამზრდელისა და ზამიდაშვილის გიორგი XI მხარეზე, რომელსაც ტახტს ეცილებოდა ირანის აგენტი, გამაჰმადიანებული ირაკლი I ნაზარალიხანი. ამ ბრძოლას შეალია სულხანმა თავისი ენერგია, მისთვის გადაიტანა დიდი შევიწროება, დამცირება და დევნა. 1696 წელს გიორგი, საბოლოოდ დამარცხებული, შაჰმა გაიწვია ირანში, სადაც მას თავის საკუთარ საქმეს აკეთებინებდა.

ამრიგად, სულხანის პოლიტიკური იდეალი დაიმსხვრა. ის ხედავდა, რომ ქართლის განთავისუფლება არ ხერხდებოდა. ამიტომ მან ხელი აიღო იმ ხასიათის პოლიტიკურ საქმიანობაზე, რომელსაც წინათ ეწეოდა, და ბრძოლის ახალი გზა აირჩია. მან მიზნად დაისახა, თუ ქვეყანას პოლიტიკურად ვერ უშველიდა, იმით მაინც გამოსდგომოდა, რომ მას შეენარჩუნებინა ეროვნული ფიზიონომია და ეროვნული გადაგვარებისათვის თავი დაელწია. ასეთი საშიშროება კი რეალურად არსებობდა მაშინ.

ერთი სიტყვით, შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, რომ დაიკარგა არა მარტო პოლიტიკური დამოუკიდებლობა, იკარგებოდა ეროვნული ფიზიონომიაც. ასეთ პირობებში სულხანი გამოდის მქადაგებლად ქართველი ეროვნული საწყისებისა და დამცველად ქრისტიანობისა, რომელიც მას პოლიტიკური, საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების საფუძვლად მიაჩნდა.

ასეთი ქადაგება რომ უფრო ზემოქმედი გამომდგარიყო, სულხანი შედის ბერად და საბას ირქმევს. როგორც ბერი, ის ულმობლად, მოურიდებლად ამხილებს ყველას, ვინც ხელს უწყობდა ჩვენში მაჰმადიანობის გავრცელებას და მისი ადათების განმტკიცებას.

მეორე საკითხი: რამ გამოიწვია საბას გადასვლა კათოლიკობაში? არც ეს აქტი იყო კონფესიური ხასიათისა, ის არ იყო გამოწვეული მართლმადიდებლობის წინაშე კათოლიკობის უპირატესობის შეგნებით; ამ შემთხვევაშიც საბა ხელმძღვანელობდა პოლიტიკური მოსაზრებით. საქმე ის არის, რომ საქართველო მუდამ ეძებდა აღმოსავლეთის ბარბაროსებისაგან დამცველსა და მფარველს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც XV საუკუნეში ქრისტიანული ბიზანტია ოსმალებმა დაიპყრეს.



მდგომარეობა, როგორც აღვნიშნეთ, კრიტიკული შეიქმნა. ჩვენებმა ამავე დროს იცოდნენ, რომ აღმოსავლეთის ქვეყნებში ქრისტიანებს მფარველობას უწევდა კათოლიკური საფრანგეთი. საბამ და მისმა აღზრდილმა ვახტანგ VI-ემ, რომელიც ამ დროს ირანის ტყვეობაში იმყოფებოდა, გადაწყვიტეს დახმარებისათვის მიემართათ, რომის პაპის მეშვეობით, საფრანგეთისათვის. ელჩობა უნდა ეკისრა თვით საბას. ამ ელჩობას რომ მეტი შედეგი გამოეღო, საბამ კათოლიკობა მიიღო. ამ ფაქტით, მისი აზრით, ის უფრო მოიგებდა პაპის გულს, უფრო დაუახლოვდებოდა მას და აამოქმედებდა მისი საქმის სასარგებლოდ. სამწუხაროდ, საბას მისია რეალურად უშედეგო გამოდგა. საქართველოსათვის მაშინ არ სცალოდა არც საფრანგეთს და არც სხვა ვინმეს. პაპის ლოცვა-კურთხევით და საფრანგეთის მეფის კეთილი სურვილებით დატვირთული საბა დაბრუნდა სამშობლოში, საიდანაც ვახტანგთან ერთად ჩრდილოეთისაკენ იბრუნა პირი, სამშობლოს გადასარჩენად ახალი გზის ძიებას შეუდგა.

კორნელი კეკელიძე,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.